ოჯახისა და რესპონდენტის შერჩევის ინსტრუქცია

ოჯახთან კონტაქტის დროს იხელმღვანელეთ რესპონდენტის შესარჩევი კითხვარის პირველი ნაწილით. იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტს არ სურს ან არ შეუძლია (მაგ: ღრმად მოხუცებული) კვლევის საკითხებზე საუბარი, სთხოვეთ დაუძახოს ოჯახის სხვა წევრს, რომელსაც ხელახლა აცნობთ კვლევის მიზნებს და აძლევთ F1 კითხვას (არჩევთ ოჯახს).

იმ შემთხვევაში:

1. თუ ოჯახი არ შეესაბამება კვლევის სამიზნე სეგმენტს, უხსნით, რომ კვლევაში მონაწილეობს მხოლოდ ის ოჯახები, რომელთაც ჰყავთ IX – XII კლასის მოსწავლე ან სკოლადამთავრებული აბიტურიენტი, უხდით მადლობას და ემშვიდობებით.
2. თუ ოჯახში ცხოვრობს IX – XII კლასის მოსწავლე ან სკოლადამთავრებული აბიტურიენტი, იხელმღვანელეთ რესპონდენტის შესარჩევი კითხვარის მეორე ნაწილით (რესპონდენტის შერჩევა).

<u>**პასუხისმგებელი პირის შერჩევა (პასუხისმგებელი პირის კითხვარის რესპონდენტი):**</u>

- თუ ოჯახში შესაძლებელია განათლების საკითხებზე ყველაზე მეტად პასუხისმგებელი ერთი პირის / ადამიანის შერჩევა, ითხოვეთ მასთან ინტერვიუს ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში (იმ შემთხვევაში თუ პირველადი კონტაქტი სხვა ადამიანთან განხორციელდა) ხელახლა გააცანით რესპონდენტის შესარჩევი კითხვარის მეორე ნაწილის ტექსტი და მიიღეთ თანხმობა ინტერვიუზე. შეუთანხმდით მოსწავლის / აბიტურიენტის ინტერვიუირებაზე.
- თუ განათლების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი არის სხვა ადამიანი, რომელიც ოჯახში არ ცხოვრობს (კოდი "4"), გადადით მოსწავლის / აბიტურიენტის შერჩევაზე **(ინსტრუქცია იხ. ქვემოთ),** ხოლო პასუხისმგებელი პირის კითხვარი გამოტოვეთ.
- თუ ოჯახის ერთზე მეტი წევრი ან მთელი ოჯახი იზიარებს პასუხისმგებლობას განათლების საკითხებზე, რესპონდენტად შეარჩიეთ სახლში მყოფი პასუხისმგებელი ოჯახის წევრი, რომელსაც უახლოეს პერიოდში ექნება დაბადების დღე (უახლოესი დაბადების დღის მეთოდი).
- თუ განათლების საკითხებზე ყველაზე მეტად პასუხისმგებელია თავად მოსწავლე / აბიტურიენტი, იმოქმედეთ მოსწავლის / აბიტურიენტის შერჩევის ინსტრუქციის შესაბამისად **(ინსტრუქცია იხ. ქვემოთ),** ხოლო პასუხისმგებელი პირის კითხვარი გამოტოვეთ.

პასუხისმგებელი პირის კითხვარისთვის შერჩეულ რესპონდენტს ძირითადი ინტერვიუს დაწყებამდე აცნობეთ, რომ კვლევა ტარდება მოსწავლეებთან / აბიტურიენტებთანაც და გაარკვიეთ მის ოჯახში მცხოვრები მოსწავლის / აბიტურიენტის გამოკითხვის შესაძლებლობის საკითხი. (შესაძლებელია თუ არა იმავე დღეს მისი გამოკითხვა, და სხვა) **(მოსწავლის / აბიტურიენტის შერჩევისას იხელმძღვანელეთ შესაბამისი ინსტრუქციით, ინსტრუქცია იხ. ქვემოთ).**

<u>**მოსწავლის / აბიტურიენტის შერჩევა:**</u>

თუ ოჯახში ერთზე მეტი მოსწავლე / აბიტურიენტია, რესპონდენტად შეირჩევა:

- ის მოსწავლე / აბიტურიენტი, რომელსაც ყველაზე ადრე აბარებს უსდ-ში.
- იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად ერთზე მეტი აბარებს უსდ-ში, რესპონდენტად შეირჩევა მათ შორის უახლოესი დაბადების დღის მქონე პირი (მოსწავლე / აბიტურიენტი)
- თუ ოჯახში არიან ტყუპები, გამოიკითხება პირველად დაბადებული.